

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია



120 

მწერალი-აკადემიკოსი  
კონსტანტინე გამსახურდია

სოსო სიგუა

ქონსაყრი სყრი -  
ყვონსაყრი სეფსაყრის

თბილისი  
2013



მხატვარი ე. მაღალაშვილი

38 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შეწყდა დიდი ქართველი მწერლის აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას გულისცემა. მაგრამ ავტორის სიცოცხლეს აგრძელებენ მისი ნიგნები, პერსონაჟები და იდეები. ისინი ინვევდნენ ვნებათა ლელვას, პოლემიკას, აზრთა შეჯახებას, იძლეოდნენ სწრაფვისა და მოქმედების სტიმულს, ამკვიდრებდნენ ეროვნულ და ესთეტიკურ იდეალებს, ნერგავდნენ მომავლის რწმენას.

\* \* \*

მებრძოლი თაობა და შემოქმედი პიროვნება ამქვეყნად მოდიან განახლების პაროლებით, ოცნების ნისლეულით, თითქოს მანამდე არც არავინ ყოფილა.

ასეთი ხმაური მალე ჩაივლის ხოლმე და მხოლოდ თითო-ოროლა სახელი თუ შერჩება ერის მეხსიერებას. მაგრამ სხვა იყო XX საუკუნის დასაწყისი, რღვევის ჟამი, როცა ნაციონალურმა აღმავლობამ ერთბაშად ფერი უცვალა სიტყვასა და აზროვნებას.

რადგანაც მრავალნი არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ, განგებამ განსაკუთრებული მისი დააკისრა ორ პიროვნებას – გალაკტიონ ტაბიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას. მათ იცხოვრეს უჩვეულოდ კომმარულ დროში, რაც სულთან შეჯახებით, გულის, გონებისა და ნერვების გავლით ხელოვნებად გარდაისახა.

თუ გალაკტიონ ტაბიძე არ ყოფილა იდეოლოგი და თეორეტიკოსი, კონსტანტინე გამსახურდიამ გაიაზრა სიტყვის მისტერია და საქართველოს ტანჯული ბედი.

ახალი დროის ნერვულ პულსაციას ადრევე გრძნობდნენ გრიგოლ რობაქიძე და „ცისფერყანწლები“. მათგან განსხვავებით კონსტანტინე გამსახურდიამ უარჰყო წმინდა ესთეტობა და აბჯარასხმულ სპასალარად მოგვევლინა, რათა სიტყვა ლაშქარს გასძლოლოდა დაცემული სამშობლოს აღსადგენად.

ამ დიდი შემოქმედის სულში ორი სანყისი ებრძოდა და ერწყმოდა ერთმანეთს, რომელთაც შეიძლება ეწოდოს როგორც აღმოსავლური და დასავლური, ისე აპოლონური და დიონისური. ატარებდა ხან კავკასიურ ჩოხა-ახალუხს, ხან ევროპულ კოსტუმს, ხან ცილინდრსა და ხელჯოხს, ხან – ბოხოხსა და ხანჯალს. უყვარდა როგორც ცხენი, ისე ავტომანქანა, როგორც თანამედროვე ტექნიკა, ისე ძველი ხუროთმოძღვრება. ხან აღმაფრენა ეწვეოდა, ხანაც – დეპრესია. იყო ურჩი და მორჩილი, გულლია და გულჩახვეული. მაგრამ ზომიერების დაცვას მუდამ ცდილობდა.

ჰქონდა ძლიერი, უჩვეულო ნებისყოფა. შეეძლო დეპრესიის დაძლევა, რაც დრამატული ცხოვრების ვრცელ მანძილზე ხშირად ეწვეოდა. თვითმკვლელობაზე ფიქრიც გულს უხრავდა ხოლმე. მაგრამ სასონარმკვეთ წუთებში თავს სძლეოდა და მხნეობას ინარჩუნებდა.

შველოდა ძლიერი, განსაკუთრებული პიროვნების კულტი, მარადიული, ზეკაცური იდეალებისაკენ სწრაფვა, ცხოვრების წარმავლობის შემეცნება და სულის ძალმოსილების განცდა, საკუთარი პერსონის გამითება.

იგი აზროვნებით, ცხოვრების წესით ნამდვილი ხელოვანის ტიპი იყო. მაგრამ უნდოდა თანამედროვეთა თვალში ჰქონოდა არა კეთილი მწერლის, არამედ – დემონური პიროვნების იმიჯი.

\* \* \*

კონსტანტინე გამსახურდია დაიბადა 1891 წლის 15 მაისს სოფელ ძველ აბაშაში.

იგი იყო აზნაურ სიმონ გამსახურდიას ბოლო – მეცხრე შვილი

მამა ადრე გარდაეცვალა. გაზარდა დედამ – ელისაბედ თოფურიძემ.

მწერლის წინაპრები სამეგრელოდან გაუძევებია ოდიშის მთავარ ლევან დადიანს XVII საუკუნის 30-იან წლებში – ჭყონდიდელთან კონფლიქტის გამო.

ისინი გადასულან ქართლში, სადაც ერთი მათგანი – პავლე – ტფილისის მიტროპოლიტი გამხდარა.

იგი ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა ემიგრაციაში და მოსკოვში აღესრულა.

პავლე ტფილელს ოდიშის მთავარმა გიორგი ლიპარტიანმა 1703 წელს უბოძა სიგელი, რომლის ძალითაც მიტროპოლიტის ძმისწული გიორგი დაემკვიდრა წინაპართა მხარეში, ძველ აბაშაში და მიეცა ყმები.

გამსახურდიები საეკლესიო აზნაურები უნდა ყოფილიყვნენ, რაც გვარის ეტიმოლოგიიდანაც ჩანს.

კონსტანტინე გამსახურდია ჯერ სწავლობდა სოფლის სამრევლო სკოლაში, შემდეგ – ძველი სენაკის დაწყებით სააზნაურო სკოლაში, ხოლო 1904 წელს გახდა ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოსწავლე, რომელიც დაამთავრა 1912 წელს.

კონსტანტინეს ნაწერები პრესის ფურცლებზე ჩნდება 1909 წლიდან (გაზეთი „ფონი“). ამავე დროს იგი ხდება სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი, რის გამოც ახალგაზრდა მწერალი პარტიის ლიდერების ყურადღების

არეში მოექცა. ამან სასიკეთოდ წარმართა მწერლის ცხოვრება – კიტა აბაშიძის ინიციატივით დაუნიშნეს ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია.

სხვადასხვა დროს – 1912 წლიდან 1923 წლამდე – სწავლობდა პეტერბურგის, ლაიპციგის, მოსკოვის, მიუნხენის, ბერლინის, სორბონის უნივერსიტეტებში, სწავლობდა ენებს, ლიტერატურას, ისტორიას, ფილოსოფიას, აგრძელებდა პოეტურ შემოქმედებას, სცემდა ჟურნალ „პრომეთეს“ (1918 წ.), აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი, რომლიდანაც გავიდა 1918 წელს.

1914 წელს მიუნხენში დააპატიმრეს პირველ მეუღლესთან – რებეკა ვაშაძესთან ერთად, როგორც რუსეთის მოქალაქე და ექვსი თვე ამყოფეს ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკში, თუმცა გერმანია იყო მისთვის „მეორე სამშობლო“, „ევროპის ინტელექტუალური დირიჟორი“, „მარადიულ ღმერთთან მორკინე იაკობი“.

1916–1917 წელს ვაიმარსა და ბერლინში გამოსცა ორი პოლიტიკური ხასიათის წიგნი გერმანულ ენაზე.

მონაწილეობდა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტისა“ და ბერლინში გამომავალ „ქართული გაზეთის“ მუშაობაში.

1918–1921 წლებში მუშაობდა საქართველოს ბერლინის საელჩოში. 1919 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ბერლინის ჰუმბოლდტების უნივერსიტეტში.

\* \* \*

ყველა მწერალი თავისი დროის შვილია და კონსტანტინე გამსახურდიაც გაიტაცა ერთი მხრივ – მოდერნიზმმა, მეორე მხრივ – პოლიტიკამ.

მოდერნიზმი დიდი ინტელექტუალური მოძრაობა იყო, რომელმაც შეაღწია ყველა კულტურულ ცენტრში და ყველგან ინდივიდუალური სახე მიიღო. კონსტანტინე გამსახურდიამ იგი გაიაზრა როგორც ესთეტიკური უნივერსალიზმი, რაც ნიშნავდა განახლებას, უახლესი იდეებისა და ფორმების დამკვიდრებას, ხოლო პოლიტიკას უკავშირებდა სამშობლოს თავისუფლების იდეას, რუსეთის იმპერიის დაშლას.

„დინამიკით უნდა ავაფეთქოთ ძველი მიწა და ძველი იდეალები“, – წერდა იგი 1924 წელს, პარიზიდან დაბრუნების შემდეგ.

კონსტანტინე გამსახურდიამ, ისევე როგორც გრიგოლ რობაქიძემ, „ღმერთთან მორკინე“ გერმანიას მიაპყრო მზერა და ექსპრესიონისტული სულით განიმსჭვალა. მაგრამ ხელოვნების ეს „ახალი აისი“, წარმოედგინა არა მხოლოდ როგორც სტილი, არამედ როგორც ეთიკა და რელიგია. იგი იქცა ღირებულებათა გადაფასების მთავარ პუნქტად. ექსპრესიონიზმი პანაცეა არ ყოფილა, ისევე როგორც დიონისო და ქრისტე და თავის მიერვე უარყოფილ სიმბოლიზმსაც დაესესხა.

სიტყვის განახლება, ხელახალი განედლება მწერლისათვის იყო „ქართული სულის რენესანსი“, სტილისა და იდეების უნივერსალიზება, წმინდა ხელოვნების დაცვა, იმ უცხო სახელების პროპაგანდა, რომლებიც საუკუნეთა სიღრმიდან ანათებდნენ, მაგრამ ქართლის მთებამდე ვერ მოედნიათ.



ამიტომ ქადაგებდა ევროპიდან მობრუნებული ჭაბუკი მისტიციზმს, მკითხველს აცნობდა გოეთესა და დანტეს, ნიცშესა და დოსტოევსკის, შპენგლერსა და უიტმენს, მათ ლანდებს ქართულ მინაზე ასახლებდა; განიხილავდა რასისა და ენის პრობლემათა მოზაიკას, ინდურ ფილოსოფიას, ანტიკურ კულტურას, გეორგესა და რილკეს უჩვეულო პოეზიას, ფრანსისა და ჰამსუნის პროზას...

მისი მხატვრული კონცეფცია ემყარებოდა წარმართულ და ქრისტიანულ მისტიკას, ანტიკურ და ქართულ მითოლოგიას, ფრ. ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფიას, ზ. ფროიდის ფსიქონალიზს, შოპენჰაუერსა და ვაგნერს, იმპრესიონიზმს, ექსპრესიონიზმსა და სიმბოლიზმს.

ხოლო ამ ინფორმაციის საფუძველი იყო ქართული ტრადიციები – ჰაგიოგრაფია და „ვეფხისტყაოსანი“, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა. ებრძოდა უტილიტარულ განმანათლებლობას, რომელსაც დაკნინებისაკენ მიჰყავდა ესთეტიური და ნაციონალური სული. ამიტომ გადაეხლართა ერთმანეთს ასე მტკივნეულად კულტურა და პოლიტიკა, რაც მისი ნააზრევის განმსაზღვრელად იქცა, როგორც შინაგანი ძალის ძახილი.

სასონარკვეთილი, დამარცხებული სამშობლოსათვის ხელოვნება უნდა ყოფილიყო აღთქმული ქვეყანაც, სიტყვაში – ყოფიერების სახლში ქართული სულის შემნახველი და გადამრჩენი. ამიტომ გადმოისროლა მეზრძოლი ლოზუნგები – „ღირებულებათა ხელმეორედ შეფასება“, „ქართული სულის რენესანსი“, „ქართული კულტურის დიქტატურა“, რადგან როცა ერთი ჰკარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მან უნდა გაამძაფროს კულტურის ფრონტი, გადაარჩინოს სასიცოცხლო იდეები, მოამზადოს ასპარეზი ახალ ძალთა მოსავლენად.

დისტანციის პათოსიც ამავე მიზანს ემორჩილებოდა, ოღონდ დისტანციას ხალხისაგან კი არ იცავდა, არამედ ასე იცილებდა ბოლშევიზმის დამთრგუნველ ძალას, რათა ჰეროიზმით, პათეტიკით, გამირული ცხოვრების კულტით გაემხნეებინა გულგატეხილი მოქალაქენი, აღედგინა თეთრცხენოსანი რესპუბლიკის დაცემით დაკარგული რწმენა და იმედი.

კონსტანტინე გამსახურდია არაერთხელ მიგვითითებს, რომ ხელოვანი არის მითების მთხზველი. „ტაბუში“ მთელი კოდექსია გადმოცემული; „მთვარის მოტაცებაში“ შემოქმედს „მითოსის მთხზველი“ ეწოდება; „დიდოსტატის მარჯვენის“ ამბავი „ნათელ მითად“ არის მონათლული; „შუბლით ვებლებით ახალ დროს; მისი საუკეთესო ეპიტაფია: მითოსს მოკლებული დრო“, წერდა 1924 წელს. მოდერნი უნდა დაყრდნობოდა „ელადასა“ და „რომს“. მაგრამ დიდი ადამიანის ცხოვრებაც თავისთავად არის მითი. ამ დებულების რეალიზებაა მისი შემოქმედება. მითი და სიმბოლო კი ერთმანეთისაგან განუყრელია.

ასე გააერთიანა ესთეტიზმი და სამშობლოს ბედისწერა.

კონსტანტინე გამსახურდიას აზროვნებაზე რამდენიმე ფაქტორმა იქონია ძლიერი ზეგავლენა და ჩამოუყალიბა მწერლის თვალთახედვა. პირველი იყო, როგორც ვთქვით, გერმანული კულტურა, მეორე – „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ დაარსება ევროპაში, რომლის წევრიც გახდა. მესამე – 1920 წლის იანვარში ჩასვლა მარადიულ რომში, წარმართობისა და ქრისტიანობის ცენტრში, რამაც მისი ინტერესი ხელოვნებისაკენ წარმართა.

მეგზური აქაც ფრიდრიხ ნიცშე იყო – „ზარასტრუსტრასა“ და „ძალაუფლების ნების“ ავტორი.

მაგრამ მალე დაეშვა სამშობლოს სამფეროვანი დროშა და კონსტანტინე გამსახურდია ისევ პოლიტიკამ გაიტაცა.

1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის ჯარმა დაიკავა თბილისი, მოხდა საქართველოს ანექსია და დაშლა. ამ ტრაგიკულ ფაქტს მწერალი ვერ შეეგუა.

ნოველებში, ესეებში, ზეპირ გამოსვლებში, თავის ჟურნალებსა („ილიონი“, „ლომისი“) და გაზეთში („საქართველოს სამრეკლო“) იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, აცხადებდა ქართული კულტურის დიქტატურას.

ამის გამო ბოლშევიკებმა ორჯერ ჩასვეს მეტეხის ციხეში (1922, 1924). შემდეგ კი გაასახლეს თეთრ ზღვაში მდებარე სოლოვკის არქიპელაგზე (1926–1927), როგორც გერმანიის აგენტი.

იგი გერმანულ კულტურაზე იყო აღზრდილი, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა უცხო იდეებისა და მოდელების ქართულ სულთან მისადაგებას ანუ ქართული მასალის ევროპული თვალთახედვით წარმოდგენასა და გააზრებას, მაშინაც კი, როცა საბჭოთა ხელისუფლება აღიარებდა მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას. ამიტომ სწუხდა მწერალი, მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა „ობლასტნაია ლიტერატურად“ უნდათ აქციონო.

ევროპული კულტურა მისთვის იყო ბარიერი რუსული ბოლშევიზმის შესაჩერებლად და გასაწინააღმდეგებლად, ქართული სულის თვითმყოფადობის გადასარჩენად.

საუბედუროდ, ახალი დრო არ სცნობდა ოპოზიციონერებს. ის მათ აპატიმრებდა და ხვრეტდა. ამიტომ იძულებული იყო ლიტერატურას შეფარებოდა, თავისი აზრი სიმბოლოებითა და ალეგორიებით შეემოსა, გამოესხა სიტყვის ფრთები, სიტყვა ექცია ნაციონალური ბრძოლის იარაღად.

ერთ ფოკუსში მოგროვდა საბედისწერო, გულისმომკვლელი თარიღები – 1907 წლის ტრაგედია, 25 თებერვლის კატასტროფა, სისხლიანი 29 აგვისტო. ყველა მათგანი იყო მამისმკვლელობა, მშობლიურის განადგურება, საზარელი დანაშაული, რაც არ მოსცილდება ჩვენს ისტორიას, ისევე როგორც უახლესი სისხლისღვრა.

მწერლის ესთეტიკურ-პოლიტიკური მრწამსის ხორცშესხმაა პირველივე რომანი „დიონისოს ღიმილი“ (1925), სადაც ინტელექტუალური ძიება, სულიერი და ფიზიკური ოდისეა გაშლილია ასოციაციური კომპოზიციითა და ლირიკული მგზნებარებით, სიმბოლოებითა და ალეგორიებით, დიონისო-ქრისტეს დაპირისპირებით.

„დიონისოს ღიმილი“ იყო „დაკარგული თაობის“ სევდიანი წიგნი, რომელშიც მწერლის აქტიური, მებრძოლი ბუნება უეცრად შეცვალა უიმედობამ. მთავარი პერსონაჟი კონსტანტინე სავარსამიძე, რომელიც ავტორის პერსონიფიცირებაა, არის დამარცხებული ქართველი ნაციონალისტი. იგი ევროპაში განისწავლა, მაგრამ სამშობლოს არ სჭირდება. ამიტომ გამოსავალს ეძებს ეროტომანიაში, ალკოჰოლსა და დიონისოს წარმართულ რელიგიაში, რომელთანაც მიჰყავს ფრ. ნიცუმეს სიცოცხლის ფილოსოფიას, ანტიქრისტიანულ სულისკვეთებას, ზეკაცის მორალს.

ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ იწერება ნოველები – „ტაბუ“, „დიდი იოსები“, „ქოსა გახუ“. მწერალი თარგმნის გოეთეს „ვერტერს“, უიტმენის პოეზიას, რემარკის რომანს „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, რომელიც სრულად 1941 წელს გამოიცა.

კონსტანტინე გამსახურდია არც სოლოვკიდან დაბრუნების შედეგ ეპუებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ესეე-

ბსა და საჯარო გამოსვლებში ისევ აგრძელებდა მოდერნისტული კონცეფციის ქადაგებას, მოითხოვდა ქართული ენის განმტკიცებას, ტრადიციების დაცვასა და გაგრძელებას. მაგრამ უკვე პოლიტიკას თავს არიდებდა.

რაპპელები და პარტიული ლიდერები (მაგ., მ. კახიანი) დაუნდობლად აკრიტიკებდნენ. შედეგი ის იყო, რომ 1931 წელს გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი თავად იყო.

1932 წლის 23 აპრილიდან, მას შემდეგ, რაც გაუქმდა რაპპი, საბჭოთა ხელისუფლება კეთილად განეწყობა გამსახურდიას მიმართ, ისევე როგორც ძველი ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლებისადმი (მაგ., შ. დადიანი, ი. ჯავახიშვილი). ამიტომ 1934 წელს მიიღეს სსრკ მწერალთა კავშირის წევრად.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით აღმავლობა იწყება ამ დროიდან, რაც გაგრძელდა 1946 წლამდე, ვიდრე ჟდანოვშიჩინა წალეკავდა საბჭოთა ხელოვნებას.

კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორ პიროვნებას, მოაზროვნეთაგან – ფრ. ნიცშეს, ხელისუფალთაგან – ლ. ბერიას, ხოლო სანიშნო და იდეალური მუდამ იყო გოეთე – „ფაუსტის“ ავტორი.

1932–1933 წლებში წერდა „გოეტეს ცხოვრების რომანს“, რომელიც დიდი გერმანელი მწერლის გარდაცვალების 100 წლის აღსანიშნავად გამოქვეყნდა.

1933–1934 წლებში კი წერდა და პარალელურად ბეჭდავდა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე ტრილოგია „მთვარის მოტაცებას“, რომელმაც როგორც მკითხველთა, ისე ხელისუფლების დიდი აღიარება მოიპოვა.

რომანს ორი მთავარი პერსონაჟი ჰყავს – აფხაზი ინტელიგენტი, ემიგრანტი გენერლის შვილი, ევროპაში განსწავლული თარაშ ემხვარი და მისი ძუძუმტე აფხაზი არზაყან ზვამბაია, კომკავშირელი და ჩეკისტი, მგზნებარე სტალინისტი. ისინი ერთმანეთისადმი პატივისცემას ინარჩუნებენ, მაგრამ გულში მტრობას ატარებენ, რაც გარეგნულად ვლინდება ქალებთან მიმართებაში. ამ ორ ვაჟკაცს ერთმანეთისგან სთიშავს ჯერ – თამარ შარვაშიძე, შემდეგ – ლამარია ლაფარიანი.

კულტურასა და ეროვნულ შეგნებას სპობს მოზეიმე ბარბაროსული ძალა – ბოლშევიზმი. ასეთია რომანის მთავარი იდეა, წიგნის ძირითადი პათოსი.

ახალმა დრომ, სისხლისფერმა ჟამმა არ მიიღო ძველი საქართველოდან და ევროპული კულტურიდან მოსული თარაშ ემხვარი, მაგრამ აღაზევა მამისმკვლელი არზაყან ზვამბაია, ვინც მაუზერით ამკვიდრებს რუსულ წესრიგს და ვისი ღმერთიც არის სტალინი. მწერალმა ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების, რელიგიისა და ტრადიციების დამხობა გაიაზრა როგორც მამისმკვლელობა.

„მთვარის მოტაცების“ დროის ლოკალია 1931 წლის აპრილიდან 1932 წლის აპრილამდე. დასაწყისი და დასასრული უკავშირდება 23 აპრილს, გიორგობის დღეს.

წიგნის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა ილორის წმ. გიორგის ტაძარი, ისევე როგორც სვეტიცხოველი „დიდოსტატის მარჯვენაში“, გელათი „დავით აღმაშენებელში“, მონამეთას მონასტერი „დიონისოს ღიმილში“.

„მთვარის მოტაცების“ რეალისტურ თხრობას ავსებს და ავრცობს, აზრობრივ სიმტკიცესა და დრამატიზმს სძენს მითოსური პლანი, პერსონაჟთა არქეტიპები, სიმბოლური ჰიპოსტაზები, ანიმისტურ და ტრადიციულ წარმოდგენათა

ვარიაციები და მსხვრევა, მათი ასოციაციური კავშირები. ამჯერად მითოსურ მოდელებს ეძლევა არა ნიცშეანური, არამედ ფსიქოანალიზური ახსნა.

1935 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ შეირთო მირანდა ფალავანდიშვილი, რომელთანაც ეყოლა ორი შვილი – თამარი და ზვიადი – საქართველოს მომავალი პირველი პრეზიდენტი.

1937 წელს, ლავრენტი ბერიას წინადადებით, მწერალმა ისტორიის სფეროში გადაინაცვლა და დაიწყო მუშაობა სტალინის ბავშვობის პერიოდზე (ტრილოგია „ბელადის“ I ნიგნი), რითაც რეპრესიას გადაურჩა.

თანამედროვეობისაგან დისტანცირების პირველი მაგალითია ნოველა „ხოგაის მინდია“, რაც იყო ერთი ქართული ფოლკლორული მასალის გააზრების მესამე წარმატებული ცდა ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელისა“ და გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“ შემდეგ.

1938–1939 წლებში დაიწერა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. მოქმედება იშლება XI საუკუნის საქართველოში, უპირველესი ქრისტიანული ტაძრის სვეტიცხოველის გარშემო. მაგრამ ფაქტიურად რომანი აღმოჩნდა 1937 წლის ტრაგედიის ალეგორიული გადატანა შორეულ წარსულში, კატასტროფულ მოვლენათა მარადიული მოდელის პოვნა და გამოხატვა, მისი ნაკითხვა გარდასული ჟამის ფონზე. ხოლო ანტირუსული პათოსი დაშიფრულ იქნა ანტიბიზანტიური სულისკვეთებით.

რომანის ერთ-ერთი ღერძია დატყვევებული ხელოვანისა (კონსტანტინე არსაკიძე) და გულბოროტი, მაგრამ პატრიოტი მეფის (გიორგი პირველი) პარადიგმა, რაც მთავრდება ხელოვანის დასჯით – მკლავის მოკვეთით.

გიორგი მეფე, მელქისედეკ კათალიკოსი, კონსტანტინე არსაკიძე, შავლეგ ტოხაისძე, ფარსმან სპარსი – აი, ხუთი პერსონაჟი, რომანში ხუთი დამოუკიდებელი, ურთიერთმოპირისპირე კონცეფციის მტარებელი, რაც ტექსტში ლაიტმოტივურად არის გადანაწილებული.

ყველა კონფლიქტური ხაზი უკავშირდება ქალს (როგორც „მთვარის მოტაცებაში“) – შორენა კოლონკელიძეს, მოლალატე ფეოდალის ასულს, მაგრამ არსაკიძე სულს სწირავს არა სატრფოს, არამედ – სვეტიცხოველის ტაძარს ანუ ხელოვნებას.

მწერლის რწმენით, სვეტიცხოველის აშენება იყო ღვთაების იდეის გამინიერება, რომელსაც ერთი სულით, ქართული ენითა და ქრისტეს სჯულით უნდა შეეკრა გარე და შინა მტრებთან მეომარი ქართლოსიანნი.

„დიდოსტატის მარჯვენა“ იყო კ. გამსახურდიას ერთადერთი ნიგნი, რომელსაც ყოველთვის აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლება. მოსწონდათ იგი სტალინსა და ბერიას.

მაგრამ „ბელადის“ პირველ ნიგნს, რომელიც 1939 წელს გამოიცა, სტალინმა კრიტიკულად შეხედა და ავტორმაც მომდევნო ნიგნები აღარ დაწერა.

1940 წლიდან კ. გამსახურდია მუშაობას იწყებს „დავით აღმაშენებელზე“. ჯერ დაწერა სცენარი ფილმისათვის, რომელიც მოიწონეს, მაგრამ არ გადაიღეს, რადგან სტალინმა გიორგი სააკაძე არჩია დავით აღმაშენებელს. შემდეგ კი რომანის წერას შეუდგა, რომლის პირველი ნიგნი 1942 წლის გაზაფხულზე გამოვიდა.

აქაც კონფლიქტურ წარმოდგენათა ცენტრში დგას ქალი – დავითის სატრფო, ურჩი ფეოდალის ლიპარიტ ბაღვაშის ასული დედისიმედი.



წიგნის ნაციონალური თვალსაზრისი, ჰეროიკა, ბრძოლა ქვეყნის თავისუფლებისათვის შეესატყვისებოდა ომის პერიოდის საბრძოლო სულისკვეთებას. მაგრამ ეს იყო არა მხოლოდ წარსულის ხილვა, არამედ – ოცნებაც ქვეყნის მომავალზე.

დავით აღმაშენებლის პიროვნება დანახულია არა მხოლოდ რომანული ფათერაკების რკალში, არამედ – მსოფლიო მოვლენათა კურსში, სახელმწიფოთა, რელიგიათა, პიროვნებათა სასტიკი და დაუნდობელი შეტაკებების ასპექტში.

კონსტანტინე ხედავდა, რომ დაპყრობილ ქვეყანას დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრივი ფუნქცია. ამიტომ ქართული სიტყვა, ამ ენაზე შექმნილი კულტურა, მითოსური და ისტორიული სახეებით შემოსაღებული და ამეტყველებული, უნდა ქცეულიყო ციტადელად, რომელიც შეკრავდა და გააერთიანებდა უღმერთო ჟამს ქართველ ხალხს, საქართველოს კუთხეებს. ენაში მოქცეული ნაციონალური ცნობიერება თუ გადაარჩინდა სამშობლოს სოციალიზმის სახელით გარუხებისაგან.

ამიტომაც აქცევდა ესოდენ დიდ ყურადღებას ენის მისტერიას, სინმიმდესა და ჟღერადობას, ლექსიკურ სიმდიდრეს, დიალექტებს, ძველქართულ მეტყველებას, საერთაშორისო სიტყვებს, სიტყვათწარმოქმნასა და სიტყვათწყობას, ექსპრესიასა და ასონიშანთა მოხაზულობას.

მაგრამ ბოლშევიკებს არ ეძინათ და კონსტანტინესაგან მოითხოვდნენ ამ ციტადელის დანგრევას, ოფიციალური ენისადმი მორჩილებას, რომლის გაგება მათ იოლად შეეძლოთ.

ამიტომ ებრძოდნენ „დავით აღმაშენებლის“ ნაციონალურ-პოლიტიკურ კონცეფციასა და ენობრივ მოდელს.

თავიდან საბჭოთა ხელისუფლება, მათ შორის მოსკოვიც, ინტერესით შეხვდა ამ რომანის გამოჩენას, მაგრამ ნიგნის ქართული სული და პატრიოტიკა თანდათან მიუღებელი გახდა რუსული შოვინიზმისათვის. ამის გამო მწერალს აკრიტიკებდნენ რუსი და ქართველი ავტორები, კოლეგები, პარტიული ლიდერები. არ მისცეს სტალინური პრემია, შეუწყვიტეს ტომეულების გამოცემა, აკრძალეს მესამე ნიგნის ტირაჟი, გამოიყვანეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმიდან და ა. შ.

1944 წელს, ვიდრე ასეთი ბაკქანალია ატყდებოდა, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მაგრამ „უდანოვშჩინის“ პერიოდში მკაცრად შეზღუდეს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სტალინისგან მწერლის დაპატიმრების სანქცია ითხოვა, მაგრამ ვერ მიიღო. იგივე განმეორდა „მეგრელიზაციის“ დროს, ამჯერად აკ. მგელაძის ინიციატივით.

სტალინი მოითხოვდა მწერლის მკაცრ კრიტიკას, მაგრამ დაპატიმრების ნებას არ იძლეოდა.

ასეთ პირობებში გრძელდებოდა „დავით აღმაშენებელზე“ მუშაობა, რთული და დრამატული ეპოქის, მრავალეროვან პერსონაჟთა მასის წარმოსახვა იმ ავტორის მიერ, რომელსაც ანალოგიურ სიტუაციებში უწევდა ცხოვრება და შემოქმედება.

ამიტომ მხოლოდ 1962 წელს შეძლო „დავით აღმაშენებლის“ დასრულება. მანამდე კი, მუშაობა რომ გაეგრძელებინა, წავიდა კიდევ ერთ, ნაწილობრივ კომპრომისზე – 1951–1955 წლებში დაწერა „ვაზის ყვავილობა“, საკოლმეურნეო აღმშენებლობისადმი მიძღვნილი ნიგნი, რომელშიც მთავარი ადგილი დაეთმო ქართულ ტრადიციულ ვაზის

კულტურას. ვაზის მოტივით და ბერძენის სიმბოლიკით კი მოხდა დიონისური რიტუალების ტრანსფორმირება, ახალ სინამდვილეში დანახვა.

კონსტანტინე გამსახურდიას, ერთი მხრივ კომუნისტური ხელისუფლება, სჯიდა და თრგუნავდა, მეორე მხრივ – თხზვის სტიმულს ჰმატებდა, წინააღმდეგობის უნარს უძლიერებდა. იგი ყოველთვის ცდილობდა ჰეროიკული სულისა და ნაციონალური იდეების შენარჩუნებას, მათ ხორცშესხმას მოდერნისტული კონცეფციით, ორიგინალური ენობრივი მოდელით, რასაც ქმნიდა მშობლიური არქაიკა, ინტერნაციონალური ლექსიკა, კოლხური ინტონაცია, სიტყვისა და სახის ქმნადობის მისტერია.

ეს შეუმჩნეველი არ იყო. ამიტომ სჭირდებოდა კომპრომისებზე წასვლა, არამთავარის დათმობა უმთავრესის გადასარჩენად. ამ მხრივ განსაკუთრებით საჭირო და ეფექტური აღმოჩნდა პუბლიცისტიკა, მხატვრული ნარკვევის ჟანრი.

ბოლშევიკური ტირანიის ეპოქაში კონსტანტინე ჰგავდა კეთილშობილ დონკიხოტს, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძოდა, და მარტოსულ ჰამლეტს, ვისაც უძირო სევდა გულს უხრავდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ფანტაზიას, როგორც ტრაგიკული ბუნების ხელოვანს, ალაგზნებდა ერის ცხოვრების საშინელი წუთები, საკუთარ ბიოგრაფიად აღქმული და გამოტანჯული, კაეშანი და მელანქოლია – გაფოთლილი ღმერთმებრძოლ პერსონაჟთა სულში. ამიტომ გადაჰქონდა თარიღები და რეალიები მითოსისა და ისტორიის სარკეში, ანდა – თანამედროვე დღეებს ჭვრეტდა როგორც მითოსსა და ისტორიას, რათა გულგატეხილ ქართვე-

ელს ეგრძნო ტირანიის წარმავლობა და დროის მარადიული წრებრუნვა დაენახა.

მწერლის წარმოსახვაში ერთმანეთს შეენაცვლა ორი ასპექტი – ერთი არის თვალთ ხილული მტანჯველი რეალობა („დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „ვაზის ყვავილობა“), მეორე – ისტორიაში უკუქცევით სულს უდგამს მარად თანამდევ ოცნებას („დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“), რაც მომავლის სამოქმედო გეგმაა, გამოვლენილი ნაციონალური იდეებითა (საქართველოსა და თბილისის განთავისუფლება, პარტიკულარიზმის აღკვეთა) და კულტურით (სვეტიცხოველის და გელათის აშენება), ხოლო „ვაზის ყვავილობაში“ დანახული ჟამი არის შესვენების, ძალთა მოკრების პერიოდი, რათა დამარცხებული სამშობლო აღდგეს ფიზიკური და ინტელექტუალური შრომით, მომზადდეს მომავალი ბრძოლებისათვის, შექმნას საარსებო ბაზისი და წინსვლის პერსპექტივა, რადგან ისტორია ჩვენი დღეებით არ იხურება.

კოლეგებისა და ხელისუფლებისაგან არაერთგზის შერისხული სულს ითქვამდა თავის ოცნების სასახლეში. ბევრს ასეთი მოპყრობა კაცთმოძულედ აქცევდა, ცოცხალი რომც გადარჩენილიყო. მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას სტრიქონებს მსგავსი განწყობილება არ დასტყობია, რადგან არც ხელისუფლება და არც დღევანდელი მოსახლეობა არ არის სამშობლოს ჯამი.

\* \* \*

მწერლის წიგნებიდან გადმოდის პერსონაჟების მთელი გალერეა. ისინი ჩვენი ცხოვრების მეგზურია, ჩვენი ფიქრების თანამდები – კონსტანტინე სავარსამიძე, ტაია

შელია, ხოგაის მინდია, თარაშ ემხვარი, თამარ შარვაშიძე, კაც ზვამბაია, არზაყან ზვამბაია, ქორა მახვში, ლუკაია ლაბახუა, კონსტანტინე არსაკიძე, შორენა კოლონკელიძე, გიორგი პირველი, ფარსმან სპარსი, დავით აღმაშენებელი, ლიპარტ ბაღვაში, გიორგი ქყონდიდელი...

პირველად კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში გაის-  
მა სახელები – თარაში, შორენა, გვანცა, ჭიაბერი, ზვიადი,  
გირშელი, ძაბული, ნიანია, ხადიშათ, მისოუსტ...

მწერალი თავის ინტელექტუალურ თუ მეომარ პერ-  
სონაჟებს აჩვენებდა მსოფლიო მოვლენების კონტექსტში,  
აკავშირებდა კულტურის ცენტრებთან, რათა პოლიტიკურ  
რუკაზე ადგილდაკარგული სამშობლო ოცნებაში მაინც ყო-  
ფილიყო მონიშნული და შემოხაზული.

ევროპა იყო მათი უცვლელი ორიენტირი. ხოლო  
საფუძველი – ძველქართული სამყარო.

კ. გამსახურდიას განსაკუთრებული ინტერესი და თაყ-  
ვანისცემა ძლიერი, ბედისწერის ურჩი (ან განმგებელი)  
პიროვნებისადმი, რაც მეფეთა, ხელოვანთა, სარდალთა,  
პოტენციურ ლიდერთა ბუნებად ამეტყველდა, აგრეთვე –  
გმირობის, ომის, სამშობლოს და ქალის კულტი, რელიგი-  
ისადმი მიმართება სანყისს იღებს მწერლის ბავშვობაში. ამ  
პირველად, გენეტიკურად გადმოცემულ ნიშან-თვისებათა  
გაშლა და ჩვენებაა სოციალური გარემოს დაწოლით, შეძე-  
ნილი ინფორმაციის მეშვეობით მთელი მისი შემოქმედება.

ყველაფერი ან არაფერი, – ასეთია გმირთა დევიზი.  
ამიტომ სდევთ აღმაფრენა და დეპრესია, გამარჯვების  
სიხარული და დამარცხების სიმწარე. ისინი მოდიან მშობ-  
ლიური სიტყვის მუსიკიდან, მწვანე და ჩალისფერი ველ-  
მინდვრების სურნელებიდან, მითებისა და ისტორიის წიაღი-

დან. მათ მეტყველებაში ისმის ზღვის გუგუნი, შეღამების მელანქოლია და საომარი ზეალმტაცი ყიჟინა.

ეს პერსონაჟები გვზრდიდნენ ჩვენ, გვიყალიბებდნენ ცნობიერებას, ქვეყნისა და ქალისადმი სიყვარულს, გვასწავლიდნენ თავგანწირვას, ერთგულებას, ურთიერთპატივისცემას, ისევე როგორც რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას გმირები.

კონსტანტინე გამსახურდიას აინტერესებდა გმირთა ანთროპოლოგიური მოდელიც, რასის ნიშნები, ისტორიულად შექმნილი ნიშან-თვისებანი, გენეტიკური თავისთავადობა და სახეცვლა, ე.ი. ქართველი ადამიანი როგორც ბიოლოგიურ, ისე სოციალურ-კულტურულ ასპექტში, დროის თვალსაზრისით – მითოსურ, ისტორიულ და თანამედროვე განზომილებაში. მაგრამ ეს არის თხზვის მასალა და არა მეცნიერული კვლევის საგანი.

გალაკტიონ ტაბიძესთან და „ცისფერყანწელებთან“ ერთად მან შექმნა ქართული სიტყვის ესთეტიკა, ქართული მწერლობის ინტელექტუალური და გმირული სამყარო, რაც არის რუსთაველის ხაზის აღდგენა და გაგრძელება ახალ რეალიებთან მიმართებით.

\* \* \*

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი იყო, წერდა რომანს „თამარ“. დასრულება ვერ მოასწრო. მიზეზი იყო როგორც ასაკი, ისე ოჯახური ტრაგედიები.

გარდაიცვალა 1975 წლის 17 ივლისს.

დაკრძალეს „კოლხური კომკის“ ეზოში, მეუღლისა და ქალიშვილის გვერდით.

\* \* \*

„მთვარის მოტაცების“ ავტორი სავსებით უნიკალური მოვლენაა ჩვენს ისტორიაში – ბიოგრაფიით, ერუდიციით, შემოქმედებით, გაუტეხელი სულით. ყოველ სფეროში, რასაც კი მისი კალამი გადასწვდა, შთამომავლობას დაუტოვა წარუვალი ღირებულებების ქმნილებანი –

ლექსი,  
ნოველა,  
ესსე,  
თარგმანი,  
რომანი.

მაგრამ, პირველ ყოვლისა, ავტორია ოთხი დიდი ქართული რომანისა.

ამ წიგნებით დგება იგი მარადისობის პირისპირ.


რაც გავა დრო და ჟამი, კიდევ უფრო იმატებს მათი სხივთა ძალა, რადგან კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დაცული და ნაქადაგები რწმენა წიგნის ფურცლებიდან გადმოვიდა, მასებს დაეუფლა და აზვირთებულ ქართველ ხალხს თავისუფლების გზაზე წარუძღვა, როგორც წყვილი-დიდან თავდაღწეული ნათლის სვეტი.

# ಇಂತಿಮಾತಿಗಿಂತಿ





კონსტანტინე გამსახურდია –  
ქუთაისის სათავადაზნაურო  
გიმნაზიის მოსწავლე



მამა – სიმონ გამსახურდია



დედა – ელისაბედ თოფურძე



ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ახალგაზრდა კონსტანტინე დგას (მარჯვნიდან მეოთხე). ქუთაისი. 1914 წ.



მიუნხენი, 1914 წ.



კონსტანტინე გამსახურდიას დედა – ელისაბედ თოფურიძე,  
მეუღლე – რებეკა ვაშაძე, ძმა – ალექსანდრე, 1914 წ.



ჩოხოსნები: ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია,  
პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი. 1921 წ.



გადასახლებაში სოლოვკაზე. 1927 წ.



ქართველი პატიმრები სოლოვკაზე. 1927 წ.



კონსტანტინე გამსახურდია ყოფილ სოლოვკეულ პატიმრებთან. 1929 წ.



კონსტანტინე გამსახურდია, ხარიტონ ვარდოშვილი, გერონტი ქიქოძე და იოსებ გრიშაშვილი. 1934 წ.



კონსტანტინე გამსახურდია და სიმონ ჯანაშია მეგობრებთან. 1930 წ.



ხევსურეთი. 1934 წ.




მეუღლე – მირანდა ფალავანიძევილი და კონსტანტინე გამსახურდია,  
1950 წ.



შვილები – თამარი და ზვიადი




ა. აფაქიძე, ს. ჯანაშია, კ. გამსახურდია. ბაგინეთი. 1946 წ.




დ. კაპანაძე, მ. კარბელაშვილი, კ. გამსახურდია, ს. ჯანაშია,  
ი. ციციშვილი, ა. აფაქიძე. ბაგინეთი. 1946 წ.





კ. გამსახურდია, ი. აბაშიძე, შ. დადიანი. 1955 წ.



ა. სურკოვი, ი. აბაშიძე, კ. გამსახურდია. 1959 წ.



გალაკტიონი და კონსტანტინე



გ. ლეონიძე, კ. გამსახურდია, ი. აბაშიძე. 1964 წ.



ლ. გუდიაშვილი, ე. ამაშუკელი, კ. გამსახურდია, ი. აბაშიძე. 1965 წ.



გ. ნატროშვილი და კ. გამსახურდია სომეხ მწერლებთან. 1968 წ.

თეატრის ორდენი ლენინა  
 ГОСУДАРСТВЕННЫЙ ТЕАТР  
**ОПЕРЫ И БАЛЕТА**  
 имени Зех. ПАНАШИШВИЛИ

თეატრის ორდენი ლენინა  
 ГОСУДАРСТВЕННЫЙ ТЕАТР  
**ОПЕРЫ И БАЛЕТА**  
 имени Зех. ПАНАШИШВИЛИ


საშუალოდ, **27** ივნისს  
 გაცხადდება ფერაზის-გაგაშვილის  
**კონსტანტინე**  
**გამსახურდიას**  
 დაბადების 70 წლის შესრულის აღსანიშნავი  
**საიუბილეო საღამო**

მუსიკალური სიყვარული — კომპოზიტორი ირაკლი ავალიანი  
 მოხატვა — კონსტანტინე გამსახურდია, სტუდია „მ. შავერვაძე“ —  
 მისწავლა — კონსტანტინე გამსახურდია, რეჟისორი გიორგი გვირიტიანი  
 მისწავლა — კონსტანტინე გამსახურდია, რეჟისორი გიორგი გვირიტიანი

**მხატვრული განყოფილება**  
 დასრულებული საღამო 7 საათზე და 30 წუთზე. ბილეთები იყიდება



ქართველ მსახიობებთან. 1972 წ.



მწერლის დისშვილი თათია საინდრავა, შვილიშვილი შორენა ახოზაძე, კონსტანტინე და ქალიშვილი ნათელა (კოლხური კოშკი).



სტუმრად კორნელი სანაძესთან. 1958 წ.



სვეტიცხოვლის ეზოში



ჰუმბოლდტის ძეგლთან. ბერლინი. 1967 წ.



ზვიადი, კონსტანტინე, მირანდა, თამარი, ძმისშვილი სვიმონი. 1958 წ.





კონსტანტინე, თამარი, ზვიადი



კონსტანტინე და ზვიადი



თამარი, კონსტანტინე, უფროსი ქალიშვილი ნათელა და  
პაატა გუგუშვილი. 1970 წ.



კონსტანტინე და თამარი



„დიდოსტატის მარჯვენის“ ფრანგული გამოცემის რედაქტორი რენე უნცბიუკლერი მეუღლესთან ერთად სტუმრად „კოლხურ კოშკში“, 1959 წლის 11 აგვისტო.



კონსტანტინე და მირანდა



კონსტანტინე შვილიშვილთან – კოკოსთან ერთად




შვილიშვილები: კონსტანტინე გამსახურდია,  
შორენა და დავით ახობაძეები



ზეიადი და მანანა გამსახურდიები შვილებთან გორგისთან და ცოტნესთან ერთად







გამოთხოვება. 1975 წ.



დამოუკიდებლობის გამოცხადება. 1991 წლის 9 აპრილი





საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა  
2013